ვიქტორინის ჩატარების ზოგადი წესები

- გუნდებს მიეცემათ 18 შეკითხვა (3-3 შეკითხვა შემდეგი საგნებიდან: მათემატიკა, ფიზიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ქიმია; ხოლო 3 შეკითხვა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მევნიერებათა ფაკულტეტის შესახებ. გთხოვთ ინფორმაცია ფაკულტეტის შესახებ მოიძიოთ ვებ გვერდზე: http://www.tsu.edu.ge/; http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/science/news/).
- მოსაფიქრებელი დრო და ქულების რაოდენობა დამოკიდებულია შეკითხვის სირთულეზე;
- თანაბარი ქულების მოპოვების შემთხვევაში ფინალურ ტურში გამარჯვებული გუნდის გამოსავლენად ინიშნება ბლიცტური.
-

ბლიცტურის ზოგადი წესები:

- გუნდებს მიეცემათ ტესტი 5 ერთნაირი შეკითხვით (თითო კითხვა თითო საგნიდან
- მოსაფიქრებელი დრო - 1 წუთი.
- თანაბარი ქულების მოპოვების შემთხვევაში, ბლიცტური გრძელდება თითო-თითო შეკითხვით გამარჯვებულის გამოვლენამდე.
-

ვიქტორინის მოთხოვნები და მიმდინარეობა

- თითოეული შეკითხვა გამოისახება ეკრანზე და იკითხება ვიქტორინის წამყვანის მიერ;
- მოსაფიქრებლად გამოყოფილ დროში მოსწავლეები პასუხს წერილობით აფიქსირებენ საპასუხო ბარათზე. მხოლოდ სიტყვიერად გაცემული პასუხი მხედველობაში არ მიიღება;
- მოსაფიქრებელი დროის ამოწურვის შემდეგ გუნდის კაპიტანი დამკვირვებელს გადასცემს საპასუხო ბარათს;
- საპასუხო ბარათები გადაეცემა ვიქტორინის შედეგების დამთვლელ კომისიას.
-

შედეგების გამოცხადება:

- შედეგების დამთვლელი კომისია ითვლის ქულებს და გამოავლენს „ვიქტორინა 2014 – 2015“ ფინალურ ტურში გამარჯვებულ გუნდებს (I,II,III ადგილები)
- მონაწილე ყოველი გუნდის თითოეულ წევრს გადაეცემა სერტიფიკატი

აკრძალვები:

- გუნდი დაჯარიმდება კარნახის, ნებართვის გარეშე გუნდის წევრის მაგიდიდან ადგომის, დარბაზიდან გასვლის, აგრეთვე ხმაურის ან უხეში ქცევის შემთხვევაში;